2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია "ფორმულას" დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, exit poll, რომელიც განახორციელა საერთაშორისო კომპანია Edison Research-მა (www.edisonresearch.com).

Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ისეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი:** შპს „სამაუწყებლო კომპანია "ფორმულა" (ს/კ:405345666), მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. N45, თბილისი, 0177, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო:** კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია ფორმულას" დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა:** სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 50 დივიჟენ სთრით სუით 305 სამერვილ, ნიუჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **კვლევის ჩატარების დრო:** 26.10.2024.
5. **გამოკითხვის მეთოდი:** ეგზიტ პოლი, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით საარჩევნო უბნებზე შერჩეული რესპონდენტების მიერ თავისი ხელით, კონფიდენციალურად, შევსებული კითხვარების ბაზა.
6. **გამოყენებული კითხვის ზუსტი ფორმულირება:**

[A] რომელ პარტიას მიეცით ხმა დღეს?

• **–№ 3 –** „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია"
• **–№ 4 –** კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა
• **–№ 5 –** „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"
• **–№ 6 –** „ევროპელი დემოკრატები"
• **–№ 8 –** „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"
• **–№ 9 –** „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!"
• **–№ 10 –** საქართველოს ლეიბორისტული პარტია
• **–№ 12 –** „ჩვენი გაერთიანებული საქართველო"
• **–№ 16 –** „შეცვალე საქართველო"
• **–№ 17 –** „საქართველო"
• **–№ 20 –** თავისუფალი საქართველო
• **–№ 21 –** ტრიბუნა
• **–№ 23 –** „ჩვენ"
• **–№ 25 –** „გახარია საქართველოსთვის"
• **–№ 26 –** „მემარცხენე ალიანსი"
• **–№ 27 –** ქართველ ერთობა
• **–№ 36 –** „გირჩი"
• **–№ 41 –** ქართული ოცნება
• **– 88 –** არავინ შემომიხაზავს / ყველა გადავხაზე

7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები:** შესაძლო ცდომილება +/−2.5%, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
8. **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. **შერჩევის არეალი:** საქართველო (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებისა).
10. **შერჩევის ზომა:** 115 უბანი, 14,946 ინტერვიუ.
11. **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში).
12. **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის, და რეგიონისა პარამეტრებით.
13. **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 115 უბანი, გაოკითხულია 14,946 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. **ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს:** შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.
15. **იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე:** 38% Response Rate/წარმატებული ინტერვიუ.
16. **ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე:** მონაცემები ეფუძნება 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 14,946 რესპონდენტთა აზრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: info@edisonresearch.com. www.edisonresearch.com